№ 10 8 მარტი

აპაპის საორმოცდ ნომერი

სიმღერა

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ ტაროსი შეგვ(ცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკ(ცა თვისი ძალა!..

—

ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი,
მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.

—

მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი!

—

სჯობს მიჰბაძოს იმან მერცხალს:
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფრთა გაშალოს გადაფრინდეს.

—

საზრდო მ(ცეს სულსა და გულს,
მით სურვილი დაიმწიფოს;
და როს ზამთრის შეუპოვრად
თვისი ღონე მოიკრიფოს,

—

მაშინ ისევ გადმოფრინდეს,
აჭიკჭიკდეს, ვით მერცხალი,
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული
ახლოვარის მომავალი!“

—

დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგკვრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველ(ით!



აკაკი

„თეატრი და ცხოვრებისთვის“ საგანგებოდ დახატული
შ. ქიქოძის-მიერ

ოქტანი ალმანახი

№ 10

შინაარსი:

1, **მეთაური აკაკისა**—ბალეტის აღზრდა-განათლება 1
2, **აკაკი**—ჩემი სიმღერა (დაუბეჭდავი ლექსი: პირველად იბეჭდება) 2
3, **ანეტა იურკევიჩის ქალი**—აკაკის უკანასკნელი დღეები "
4, **გიორგი შერვაშიძე** - აკაკის 5
5, **გ. დათიაშვილი**—სპეტაკი ანგელოზი (აკაკის ხსოვნას) "
6, **დ. კოპალი**—აკაკი "
7, **აკაკი**—ზეპირ სიტყვაობის გამო 6
8, **დუტუ მეგრელი**—აკაკი 8
9, **გ. ქუჩიშვილი**—საქართველო 9
10, **გრ. მეგრელიშვილი**—მოგონება 10
11, **იოსებ იმედაშვილი**—აკაკი შთამგონებელი (მოგონება ერთის თვალის გადავლებით), ჯაკის გერძო წერილები "
12, **აკაკი პაპავა** - ოპლობა 14
13, **სოსო მაჭავარიანი**—აკაკი რითია ძვირფასი? 15
14, **ილია ბახტაძე**—აკაკის ტკბილ-ეწარე სიტყვები 16
15, **წვრილი ამბები**—(კანზე) "
16, **სურათები**: აკაკი—ბავშვების მოყვარული; შარაქი; აკაკი კახეთში (ყვარელში) ილიას დღეს; აკაკის ფაქსიმილე—წერილი; აკაკი—სიმბოლიური სურათი შ. ქიქოძისა. განცხადებანი.

წვრილი ამბები

კოგბ. კ. ფოცხვერაშვილი ბაქოდან თბილისს ჩამოვიდა აკაკის სამოქალაქო პანაშვიდის გამმართველ კომიტეტის თხოვნით დღეგანდელ სამოქალაქო პანაშვიდში მონაწილეობის მისაღებად.

აკაკის სამოქალაქო პანაშვიდში კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით გუნდი შეასრულებს თვით ფოცხვერაშვილის მიერვე დაწერილ „აკაკის სამგლოვიარო პანაშვიდიდან„ ორ სამგლოვიარო პანაშვისა და აგრეთვე 1908 წ. დაწერილ აკაკის სადიდებელ საგალობელს (სიტყვები შალვა შარაშიძისა). ზაქ. ფალიაშვილი ამზადებს სიმფონიურ ორკესტრს, ია კარგარეთელი—საპ. სასწავ. გუნდით საკუთარ თხზულ. „აკაკის ხოტბას".

აკაკის სალამოს ჰმართავს ქართველ მსახიობთა ამხანაგობა საშაბათს, 10 მარტს, სახალხო სახლში შემდეგის შინაარსით: „პატარა კახი" (2 მოქ.), „თორნიკე ერისთავი" (მეფის საბეჭდ), „თამარ ცბიერი „(2 მოქ.) და „ბუტიობა" ვოდ.

რედაქციაში მოსული მასალები, რაც კი აკაკის შეეხებოდა—სტატეები, ლექსები და სხვ., აკაკის დამკრძალავ კომიტეტის მიერ არჩეულ საგამომცემლო კომისიას გარდაეცა „აკაკის დაკრძალვის წიგნის" მასალად.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიგნი "აკაკის დასაფლავება, აკაკი დამესიზმრა და აკაკიზე ლექსები", შედგენილი და გამოცემული გალუსტ შიხიანის მიერ.

რედაქციისაგან. აკაკის გადმოცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, მთელი ეს ნომერი ეძღვნის დიდებულ მგოსნის ხსოვნას. ამიტომ ჩვეულებრივი მასალა შემდეგისათვის გადაიდო.

ამ ნომრისთვის აწყობილი წერილები „უბრალო საუბარი" აკაკისა, „აკაკის ნაკვესები", აკაკი. მოგონება ზ. ჭიკნაძისა, „ძვირფასი წიგნი", ლადო გზვანელისა, ჭრაქი, ს. ფაშალიშვილისა და სხ.

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება

სურათი: ორი მგოსანი მომავალ კვირის ნომერში დაისტამბება.

თბ. სახალხო თეატრი

კვირას, 8 მარტს, 1915 წელს გაიმართება

აკაკის დილა

განსვენებული მგოსნის **აკაკის წერეთლის** ხსოვნის აღსანიშნავად

დილაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი ე. გაბაშვილისა, განდეგილი, მ. საფაროვ-აბაშიძისა; ბ. ბ. კიტა აბაშიძე, აბაშელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გომართელი, ი. მაჭავარიანი. ნ. ლომოური, გრ. რობაქიძე, დეპ. კარლო ჩხეიძე, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი და ი. კარგარეთელი

სხვათა შორის დილაზე სიმფონიური ორკესტრი ბ-ნ ზ ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულებს შოპენის სამგლოვიარო მარშს და ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარშა „საგმირო სიმფონიიდან". აგრეთვე გუნდები შეასრულებენ ბ. ი. კარგარეთელისა და კ. ფოცხვერაშვილის ახალ საგალობლებს აკაკის სახსოვრად შეთხზულს.

დასაწყისი შუადღის 12 ს. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. დარჩენილი ბილეთების მიღება შეიძლება „სახალხო ფურცლის" რედაქციაში, კანტორის გამგის ქ-ნ ნეიმანისაგან დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 3 ს-ღე, დილას 8 მარტს კი „სახალხო თეატრის" დერეფანში. მოსაწვევი ბარათები ან ბილეთები არავის გაეგზავნება.



№ 10

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 მ., ᲮᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲗ 3 მ., ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 კ. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜ“ᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: **ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ**

Ред.„Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ᲮᲔᲚ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ.—ᲮᲔᲚᲗᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲐ.—ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ—ᲓᲘᲚᲘᲗ 9—2 ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15-41

№ 10 ᲙᲕᲘᲠᲐᲕᲛᲐᲠᲢᲘ 1915 Წ.

8 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

პირველი ნაბიჯი თუ უკუღმართად გადაიდგა, წაღმა სიარული შეუძ-ლებელია, და წყალი თუ სათავეში აიმღვრა, ბო-ლოში ვეღარა გასწმენდს რა!.. რაც მხოლოდ წამხედურობით კეთდება და არა შეგნებულ მოთ-ხოვნილობით, ის, ყოლიფერი, სასაცინოა და საუკუღმართო.

სახლი როგორც უნდა გაანათლო ელექ-ტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ ექნება. რაც უნდა განათლებული იყონ ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ყოველთვის უნა-ყოფო და გამოუსადეგარი იქმნებიან!.. აბა რა ქართველ-ქალობა უნდა გასწიოს იმან, ვისაც „ქრისტე აღდგაც“ კი არ ეხერხება რომ ქართულადა სთქვას; ყველაფერი იცის გარდა თავის ქვეყნისა; მარაოს იჭერს ხელ-ში, რომ მუნჯურად აალაპარაკოს და ნევსის აღება კი არ შეუძლია, რომ შვილს პერანგი გაუკეროს!..— ღომი ქაშისაგან ვერ გაურჩე-ვია და შვილი სათამაშო დედოფალა (კუკლა) ჰგონია? ცხადია რომ დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ-ქართველ ქალებთან, იმ ნამ-დვილ ცოლ-დედებთან მისატოლებელი კი არა, სახსენებელიც არ არიან საჭიროა, რომ ცოტა-თი მაინც მივამსგავსოთ ძველებს და ისეთი სას-წავლებელი დავაარსოთ, რომ ნაკლი შევუვსოთ.

ჯერ-ჯერობით მაღლა პოტინი საჭირო არ არის!.. მივაწოდოთ იმდენი, რომ დღე-ვანდელ მოთხოვნილებისა-და კვალად, თავის შვილების გამოზდა, მომზადება სხვა-და-სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში მისაღებად, ოჯახშივე შეეძლოთ დედებს, სხვაგან გაუბა-რებლად. წარმოიდგინეთ ერთის მხრით სო-ფელში მშობლისაგან მომზადებული ათი წლის ბავში და მეორით ათი-თერმეტი წლისავე მეორე ყმაწვილი, სხვაგან გაბარე-ბული მოსამზადებლად, დედის კალთას მო-შორებული, უცხოების ხელში!.. ერთი სუ-ლითაც და ხორცითაც მრთელი იქნება და და მეორე კი გატეხილი, დაკნინებული და ნაღრიბა! პირველი, რასაკვირველია, უფრო მეტს აიტანს შრომას, სადაც უნდა იყოს, უფრო მალეც შეიგნებს ყოლიფერს და და-წინაურდება. ეს ისე ცხადია, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, და მხოლოდ ერ-თხელ კიდევ გავიმეორებ, რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა, დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავლისათვის ბოლო უნდა მოეღოს.

ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!? ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კა-ცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქარ-თველები და არა მისთანა უსაქმური და მხო-ლოდ წარა-მარად მოლაქ-ლაქე თავხედი კუ-დაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ როდის-მე, არც უთესიათ და მხოლოდ უღროოთა და უადგილოდ ნამგალს სხვის კალოზე ატრი-ალებენ და „ჰოოპუნას“ ნაცვლად „ჰკა მაგა-სო!“ იძახიან და უთითებენ იმათზე, ვისაც მართლა რამე უმუშავნიათ და ღვაწლი მიუძ-ღვისთ... დიახ! როდესაც ეს ნაცარქექია ფარისევლები აღარ იქნებიან ჩვენში და მათ ადგილს დაიპერენ შეგნებული ახალ-გაზდები‘

რომელთაც ნამდვილი, ჭეშმარიტი, სასწორ-საზომი ეჭირებათ ხელში და არა ზოგიერთ დღევანდელებსავით საპირადო-საფარისევლო, მაშინ თავის-თავად გაიკურნება დღევანდელი ჩვენი სატკივარიც. **აკაკი**

(„კრებული", 1899 წ. № III. წერილიდან „დღევანდელი ჩვენი საჭიროება")

ჩემი სიმღერა

(დაუბეჭდავი ლექსი. პირველად იბეჭდება)

არ ვიცი, რისთვის ვუყვარდი?
— ან შემიძულა რაღადა?
მაგრამ კი მისი სახელი
გულზე დამესვა დაღადა.

—

მხოლოდ წარსულით სულდგმულსა
ის მეხატება აჩრდილად!..
გამხუნებია სიცოცხლე,
არც მწარედ მიჩანს, არც ტკბილად!..

—

და უმისობა ისე მწამს,
ვით უსულობა ხორცისა.
არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი,
აღარც მიწის ვარ, არც ცისა!..

—

და მაშ რაღა ვარ?—ობოლი
და უსახლ-კარო ეული,
დამგმობი მთელი ქვეყნისა,
კრული და ბრაზ-მორეული!..

—

რად შემიყვარა ან ადრე?
ან შემიძულა რაღადა?
და ჩემზე მთელი ქვეყანა
აახმო, ააღაღადა?!.

—

ნეტავი, იმ ტკბილ შარბათში
რაღად ურევდა სამსალას?
—იმიტომ თურმე, რომ მხოლოდ
გამოიცდიდა თვის ძალას:

—

მამაკაცს თაგვად ჰსახავდა,—
თავს იხატავდა კატადა!..
ახლა მეც მივხვდი, მაგრამ ეჰ,
მაინც ისა მყავს ხატადა!.. **აკაკი**

აკაკის უკანასკნელი დღეები

ბევრი, ძალიან ბევრი, გონებიდან განუშორებელი, მოგონებანი მაერთებენ აკაკის ძვირფასს სახელთან. ბავშვობიდანვე ღრმად აღბეჭდილია გულში ამ დიდებული ადამიანის ღვთაებრივი სახე...

თუ მის სახლში ყოფნა, თუ მოგზაურობა მასთან ერთად, თუ ის ღაუვიწყარი ხანა, როცა იგი ჩემთან და ერთს ჩვენს ნათესავ მოსწავლე ახალგაზდასთან მეცადინეობდა და გვიხსნიდა „ვეფხის ტყაოსანს"—

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ამ პატარა წერილში მინდა მკითხველებს გაუზიარო მხოლოდ ის, რაც იმის უკანასკნელს დღეებს შეეხება.

დავიწყებ აქედან. ახალწელიწადს აკაკისთან წავედით. თუმცა მგლოვიარედ ვიყავით ერთს იმის ნათესავს ყმაწვილზე, რომელიც იმ დღეებში უნდა მოესვენებიათ ბრძოლის ველიდან და რომლის გმირულად დაღუპვა, ისე მიიცვალა აკაკი, რომ ვერ გაუმხილეთ, მაგრამ ჩვენ ყველანი მხიარულად შევედით მასთან და მიულოცეთ ახალი წელი.

მანაც ჩვეულებისამებრ ყველა გადაგვკოცნა, ტირილი დაიწყო და გვითხრა:

— **„ჭკვდები"**ო.

გულშემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა ის, რომ მარცხენა მხარე მას დადუმებული ჰქონდა, მისი ბასრი ენა თავისუფლად ველარ მეტყველებდა, მუდამ ჩვეულებრივი შირავანდედით მოსილი, იგი ამ მდგომარეობაშიაც მშვენიერი იყო. პირველი სიტყვები, რომლითაც მან იმ დღეს მომმართა, შემდეგი იყო:

— **„იცოდეთ — აქ დამმარხეთ"**—ო.

რამდენიმე ხნის განმავლობაში მოუშორებლივ მასთან დავრჩი.

მრავალი მნახველი მოდიოდა, მაგრამ ყველას შესვლა მასთან შეუძლებელი იყო, ვინაიდან იგი მეტად ღელავდა და იმეორებდა: „შეეხოვებიან"— ო. ხშირად მაკითხებდა თავის თხზულებებს, განსაკუთრებით კი უკანასკნელს პოემას „ომს", რომლის ბეჭდიც



აკაკი — ბავშვების მოყვარული
(მუხლზე უზის ფატი გოკიელი)

მას, სჩანდა, მეტად აშფოთებდა, თითქოს ეშინოდა, რომ იგი ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

კარგად ვგრძნობდით, რა საშიშ მდგომარეობაშიაც იყო ჩვენი სიამაყე, სიყვარულით, პატივისცემით ვეხვიეთ გარს, რათა არ დაგვენებებია იგი წყეული სიკვდილისათვის. ყოველ დღე დადიოდა მასთან საჩხერის საავადმყოფოს გამგე ექიმი ჭოლოშვილი, რომელიც 13 იანვრიდან სამსახურის გამო, იძულებული გახდა, ძვირფასს სარეცელს მოშორებოდა.

მგოსნის ახლო ნათესავნი: და კნ. ანნა, რძლები მარიამ და ნანო წერეთლისანი, მოგვარეები და მეზობლები მზრუნველობით დასტრიალებდნენ თავს, მაგრამ არ წემძლიან განსაკუთრებით არ აღვნიშნო კოტე აბდუშელიშვილი თავის მეუღლით და აკაკის ერთგული მსახური სპირიდონ ზაბახიძე. დღითი-დღე აკაკის უკეთობა დაეტყო, იგი უფრო გარკვევით ლაპარაკობდა, ხშირად თავისებურად ოხუნჯობდა და ჩვენც იმედი მოგვეცა. ველოდით იმის ვაჟს და დისწულს კნეინა ანნა დადიშქელიანისას.

ქართველ მოღვაწეთა შორის პირველმა ინახულა იგი იაკობ ფანცხავამ, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა და რომლის მოსელამაც იგი დიდათ ასიამოვნა. ასე რომ ჩვენ ხშირად ვეხუმრებოდით კიდეც, რომ „იაკობი საუკეთესო მკურნალი აღმოჩნდა“..

შემდეგ ინახულეს იგი მისმა საყვარელმა გრიგოლ დიასამიძემ, ზგოსანმა რუხაძემ და სხვ

მახსოვს ერთი საღამო.

მგოსნის სარეცელთან ვისხედით: გ. დიასამიძე, ვ. რუხაძე, კ. აბდუშელიშვილი, აკაკის ვაჟი ალექსი და მე.

აკაკიმ მთხოვა „ომი“ წაიკითხეო. მეც დავიწყე კითხვა

იგი გულაღმა იწვა, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო და გატაცებით მისმენდა გავათავე... სიჩუმე ჩამოვარდა.., მან ყველას სათითაოდ მიაპყრო თავისი დიდრონი თვალები, თითქოს უნდოდა თვითეულის სახეზე ამოეკითხა რამე და ბოლოს წამოილაპარაკა:

— **„ძალიან ვეფერები, მაგრამ ვაი, თუ ამ მოფერებიდანაც არა გამოვიდეს-რა“-ო.**

დაუვიწყარია ჩემთვის კიდევ ერთი საღამო. მგოსნის პატარა ოთახში მხოლოდ მე და კნ. მარიამი ვართ. მე თავით უზივარ, კნ. კი ცოტა მოშორებით ზის. აკაკი მიმითითებს სახატეზე და მეუბნება: „აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წამიკითხე რამეა-ო. მეც ბევრი რამ წაუკითხე იმ ღამეს და, სხვათა შორის, „გამზრდელის“ კითხვა დავიწყე.

როდესაც დასასრულს მიუახლოვდი და ეს ტაეპი წავიკითხე:

„მაგრამ უსუფ ეუბნებაᲘ:
— შენ სიკვდილის რა დარსი ხარ?!
სიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცთ ვერ კაშიზდახარ“, —

საყვარელმა მოძღვარმა ქვითინი დაიწყო.

ვინ გამოიცნობს ამ ძვირფასის ცრემლების საიდუმლო მიზეზს?

ეგებ „დიდმა გამზრდელმა“ უსუფის როლში იგრძნო თავი და უკანასკნელი, მწარე ცრემლები დაფრქვია საფარბეგისთანა მოძმეთა მოღალატე და უღირსს გაზრდისათვის...

ეს კია, როცა შევჩერდი და შეშინებულმა მოვახსენე, რომ კითხვას სრულებით თავს დავანებებ-მეთქი, მან აღელვებით მიბრძანა:

— **»არა, არა, მე არ ვსტირი, მაგრამ... მაგრამ ეს მართლა კარგად დამიწერია« — ო.**

ინახულა იგი ია ეკალაძემაც.

საგრძნობელი სურათი იყო, როდესაც თვალცრემლიანმა იამ ხელზე ამბორით მოახსენა: »იმერეთის რედაქცია სალამს გიძღვნის, დიდო მგოსანო«.—

აკაკი მაშინ ბევრად უკეთ იყო და ჩვენც სრული იმედი გვქონდა, იგი განიკურნებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა და 25-ს იანვარს დილით იგი ძლიერ ცუდათ შეიქმნა.

სრულიად წართმეული ენა, საშინელი, სამუდამოთ ნახსოვრობიდან ამოუშლელი შემოხედვა, მოწყვეტილი სხეული — ყოველივე ეს ნათლად მოწმობდა იმ დიდს უბედურებას, რომელიც მალე თავს უნდა დაგვტეხოდა.

იგი მეტად შფოთავდა.

ულმობელი სიკვდილი უკვე ემზადებოდა თავისი სასტიკი განაჩენის სისრულეში მოყვანას და ეს იყო მიზეზი, რომ ვეღარც მგოსნის საყვარელი ვაჟი, ვეღარც მისი თაყვანისმცემელი დისწული ანნა დადიშქელიანისა და ვეღარც მისი ერთგული კოტე აბდუშელიშვილი ხანგრძლივ ვეღარ სძლებდენ ძვირფას სარეცელთან.

თავს ვადექით: ვერა წერეთლისა, სპირიდონ ზაბახიძე, ფერშალი და მე. მოვიდა ჭიათურიდან ექიმი სვიმონ ჯაფარიძე. იგი ჩვეულებრივი გამამხნევებელი ღიმილით შემოვიდა სათაყვანებელ ავადმყოფთან, გასინჯა და მოახსენა: „ნუ გეშინიათ, ბატონო, არაფერია«ო.

ამაზე აკაკიმ ძლივ გასაგებად ამოილულლუღა:

— **»მე სიკვდილის სრულიადაც არ მეშინიან«ო.**

ყოველივე ზომა მიღებული იყო. ექიმიც მას უკანასკნელს წუთამდე არ მოშორებია.

ძლივს გავარკვიე, როდესაც აკაკიმ შვილი მოითხოვა, ალერსით მოუსვა ხელი ლოყაზე და დიდის გაჭირვებით წარმოსთქვა:

— **»Маму успокой«!..**

ამის შემდეგ კიდევ სთქვა რაღაც და, როდესაც ალექსიმ და მე ჩავკითხეთ: „ლამპის შუქი ხომ არ გიშლისთ მოსვენებას«-თქო, მან ნაღვლიანად გვიპასუხა:

— **»არა, მე უკვე აღარაფერი აღარ მიშლის«-ო.**

ცოტა ხანს იქით კიდევ წამოილაპარაკა რაღაც, რამოდენიმეჯერ გაგვიმეორა კიდეც. შემდეგ-კი სხვა გვარად შემოგვხედა, თითქოს გვისაყვედურა, რომ იმის ნათქვამს ვეღარ ვხვდებოდით და უომედოთ ჩაიქნია ხელი.

არ გვემეტებოდა და ვერ ურიგდებოდით იმ აზრს, რომ, თურმე, ეს იმის უკანასკნელი სიტყვები იყო.

კიდევ რამოდენიმე საათი და... აკაკი მშვიდათ მიიცვალა.

არ აუსრულდა უკანასკნელი ნატვრა: ჩვენი მოჭირნახულე ვერ მოესწრო თვალით ეხილა ამ ჟამად გამოუცნობი მომავალი ტანჯული სამშობლოისა, რომელმაც ესდენ გულუხვად უმსხვერპლა დღევანდელს საშინელს ომს ჭაღარა მგოსნის „დაფითა და ნაღარით“ წაქეზებული სიცოცხლით აღსავსე შვილნი, ღირსეულნი წინამორბედნი იმ გმირთა-გმირებისა, ვისაც შეუწყვეტლივ უხმობდა აკაკის ღვთაებრივი მუზა ცხრა კლიტულში ჩამწყვდეული სატრფო ნესტანის გამოსახსნელად...

დიდო მასწავლებელო! სანამ შენი დიდებული ცხედარი აქ, შენს საყვარელს სამშობლო სოფელში, განისვენებდა, სავსებით ვერ ვგრძნობდი ამ საშინელს დანაკლისს და აი რად: თვითეულს ჩვენგანს, თითქოს, რაღაც დიდი საქმე გასჩენოდა, რომლის ღირსეულად შესრულება სწადდა.

ვერ ვიგრძენი ეს იმ დროსაც, როცა მატარებელი უკანასკნელად შეტორტმანდა და შეუბრალებლად სამუდამოთ მოგგლიჯა შენს ძვირფასს მიწა-წყალს და პირქვე დამხობილთ მოზღვავებულ შენს თაყვანის მცემელთ.

ვერ ვგრძნობდი ამას ვერც მაშინ, როცა საჩხერიდან თბილისამდე აურაცხელი ხალხი ეგებებოდა შენს დიდებულს ნეშთს, მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა და მუხლ-მოყრით გესალმებოდა და ვერც მაშინ, როცა

სასოებით მოვსდიე შენს კუბოს უკანასკნელს სავანემდე—ყოველივე ეს ხომ მომხიბლავი ზღაპრული სანახაობა იყო, სადაც თავგამოდებით მეტოქებოდენ გლოვა და სიხარული, ღრმა კაეშანი და ბრწყინვალე იმედი, სიკვდილი და სიცოცხლე...

ხოლო ახლა, როდესაც დღითი დღე ვრწმუნდები, რომ ვეღარ ვიხილავ შენს შუქმფენ სახეს, რომ ამიერიდან ამათ მოგელის გული და აღარავინ არის, ვისაც თაყვანისცემითა და სასოებით შემიძლია მივაშურო, სავსებით განვიცდი რაღაც ერთგვარს ობლობას.

ამიტომაც არის, რომ ხშირად ოცნებით ვსდგევართ დიდებულს მთაწმინდაზე, რომელმაც გადაგვბარა შენი თავი, მოწიწებით მუხლს ვიყრი შენის ძვირფასის სამარის წინაშე და დაუსრულებელს მადლობას გიძღვნი იმისათვის, რაც მომანიჭე შენ სიცოცხლითა და სიკვდილითაც.

ანეტა იურკევიჩის ქალი

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხეულით მხოლოდ შენ განისვენე,
ხოლო ზეციურ—უკუდავი ხმები
შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!
და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი
შენის ერისგან დალოცვილია,
როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში
ქართველთა გულში ჩაჭედილია ..
და თან ღაღადი, ქებათა ქება,
გუნდრუკად ცისკენ აღმართება,
ეს არს სიცოცხლე და უკვდავება...
კურთხეულია შენი ხსენება!..

გიორგი შერვაშიძე

სპეტაკი ანგელოსი

(აკაკის ხსოვნას)

საწუთროების დაბურვილ ხეივანში წყნარად მისეირნობდა სპეტაკი მოხუცი

მშვიდ, მადლიან სახეზე ბრწყინვალე იმედის ცახცახა შუქი დასთამაშებდა.

ტკბილ ფიქრთა ბურანში ებნიდებოდა ოდნავ ღრუბლოვანი თვალები.

ეწვოდა სული, ტურფა სამშობლოსთვის აღკმეული და სხეული, მთრთოლვარე პატრუქის წმიდა გარსი, ეფერფლებოდა...

მიაღწია საზღვარს საწუთროებისას.

დანაღვლიანებული ჩამოჯდა პირღია სამარესთან დაგდებულ ლოდზე.

ვით მდინარეს პირად ნაპრალზე მოლაპლაპე წმიდა სანთელი, ათრთოლდა უღონო მოხუცი და უმანკო ცრემლები ჩამოაფრქვია.

გაყრის წუთმა მკვეთრი ისარი მოიზიდა ..

უკანასკნელად შეახო ხელი მცხოვანმა მოხუცმა დადუმებულ ციურ ქნარს და ჯადო სიმებს აღმოხდა გულის მომწყვლელნი ხმანი.

გასწყდა სიმი, ცეცხლეული ცრემლით დათუთქული.

გაცურდა ფარდა უხილავ მავთულზე.

ცით მოსხლეტილ ვერცხლის შუქზე აციმციმდა სატრფოს სადიდებელ ჰანგებში გარინდული ზეკაცი...

ცისკროვან ანგელოსთ შორის ზეცისაკენ მიფრინავდა შარავანდედით შემკული სპეტაკი ანგელოსი და განვლილი საწუთროების დაბურვილი ხეივანი ზარის ხმაზე იშმუშნებოდა.

გ. დათიაშვილი

ᲐᲙᲐᲙᲘ

რადგანც ფრინველნი კვალად მღერიან
და ცად ვარსკვლავნი არა ჰქრებიან;
რადგანც სატრფონი კოცნას ეტრფიან
და ერთმანეთსა გულში ეკვრიან;
რადგანც ბოროტი იმასა დარდობს,
რომ შენ საფლავზე ეკალიც ვარდობს;
რადგანც ბულბული შენთან ნავარდობს,
საყვარლის საფლავს გიმღერს და ხარობს;
რადგანც სიკვდილი სულმნათს ვერ გაქრობს
და შენი ჩანგი კი ყველას ათრობს,—
მიტომ არ გვმართებს გლოვა-ტირილი...
აკი, მგოსანო, შენი სიკვდილი
საფლავსა შინა არს მხოლოდ ძილი,
მეტად საამო და მეტად ტკბილი!..

დ. კოპალი

ზეპირ სიტყვაობის გამო

ქართველებს რომ დღეს სხვა-და-სხვა სა-ზეიმოება გვაქვს და ჯერ-ებული სიქმეც გვაწვეს ტვირთად, ეს ვინ არ იცის? მაგრამ არც ერთი კი მაოგანი ისეთი სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ-კადმოსცემებისა“ შეკრება-შეგროვება ჩვენ-კი მაინც ამდენი ხანია განზე გუდგებით ამ საქმეს!.. ხალხური ბოეზია უტეფარი საოკეა კადასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცხობილია დღეს ეოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საქმეთა. ჩვენი ქართული „ზეპირ-კადმოცემანი“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას კარგა, მსოფლიო ხასიათიც აქვთ. საქართველო ეოო ხიდან და გზით იმ დიდ მოძრობის დროს, როდესაც სხვა-და-სხვა ერი ახალიან ევროპაში კადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწამე. ამის დაგუმტოო კიდევ ის გარემოებაც, რომ ქართველი საზოგადოო ბუნება თანხმაარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, ეეურადღებოთ არ დაუგდია, ეოველი შეესწავლია და საშვიდისშვიდოთ კადმოუცია საზეპირობითა.

არასად ისე კაგრცელებული არ ეოფილა „მეზღვრეობა“, „მესტვერეობა“ და „მეშაირობა“ როგორც ჩვენში!.. საშვიდისშვიდოთ კადმოიცემებიდა ხოდმე ერთი-მეორისაგან ასი-ასი და ათასი წლის ამბები, და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იეო ჯეანილი ჩვენი საბალხო ბოეზია, ძველი და ახალი ადოქმა სულ ერთიანად კადექსილი იეო და ტრიალებდა ჩვენს ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოო შაირები „აბრამზე“, „იობზე“, „ხოდიმონზე“ და სხ?.. არც ერთი შესანიშნავი მოვლენება არ ეოფილა ჩვენში, რომ ხალხს ეეურადღებოთ დაეგდოს და შაირი არ კამოეთქვა!.. ამას კარგა, ძველი ხალხების მითოდოგია, კანსაკეთრებით ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღვრებში არიან მოქცეული; აქვე შეხვედით ჭიმერიასია და სხვა ძველი დროის ძწერლების თხზულებასაც ნაწეკეტ-ნაწეკეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი. ვინ იცის, ჩვენ კადმოგვიქართოულებია, თუ ამათ კადურჯულებით ჩვენი რა-მე? ესეები ეეველაეერი დღემდი კარგათ იეო ჩვენში დაცული, სანამ საშვიდისშვიდოთ კადადიოდა!.. მხოდოდ საქართველო წარმოადგენს ერთათ-ერთს მაგადიის, სადაც „ბატონ-ეამობის“ დროს ზოგიერთ გლეხებს მოელი გვარეულობით ზღვრებისა და შაირების მეტი არა ეამრთათ რა კადასახადი. დღეს, როდესაც ძველი წესწეობიდებს დაირღვა დაშალა და ახალგვარი ცხოვრება შემოვიდა ჩვენში, ამ ჩვეულებასაც, ე. ი. ზეპირ-კადმოცემასაც, ბოდო მოელო. ახალ დგმას ადარ ეხალისება ეს ძველებური საზეპირობები და მოხეტებულ მამებს საოვალვაში ჩაქვთ ასეთი ძვირფასი კანძი!.. ერთი ათი წელიწადი კიდევ და მეშვიდობით!.. ჩვენი დღევანდელი დაუდეგრობით დავკარგავთ იმას, რასაც მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება. ეს ახრი მე ამ ოცი წლის წინათაც გამოთქვი „დროებაში“ და ზოგიერთებმა კიდეც მომაწოდეს მათგან შეკრებილი ზღვრები და არაკები, მაგრამ შემოხვევით, გზა-და-გზა ამ გვარი რამ არ გაკეთდება!.. ამათი შრომა უნაყოფო კამოდგა, რადგანაც ამისთანა საქმეს გულ-დაგულ შედგომა უნდა და ტოტოდენი ტოდნაც. მოუმზადებელი კაცი ვერ მიხვდება, რას უნდა მიაქციოს ეურადღება და როგორ უნდა ჩაწერის კაგონილი? მით უფრო, რომ ხალხური სიტყვაერება მრავალგვარია და ეველა მათგანს-კი არა აქვს სერო მნიშვნელობა, ზოგჯერ მეგა-და-მეგ ობრდობაც კამოერევა ხოდმე. პირველი ადგილი ხალხურ ნაწერმოებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ ნიადაგზეა ადმონაცენი და, როგორც მისი საკუთარი გრძნობა-გონებისა და თავ-კადასავალის ნაყოფი, საუკუნეების ბრძოლაა კამოვლილი და ადგილადაც კაირჩევა იმგვარ პოეზიისაგან, რომელიც სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოპარული და ახალ გემოზე გადაკეთებული. ვიდოთ მაგალითი:

„თამარ მეფე დმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იადბუზზე ფეხი შესდგა,
დადგა მთებმა შექნეს დრეკა“...

ეს რომ ქართულ ნიადაგზეა აყვავებული და ქართველი ერის გენიოსობის წარმონაშობი,—

ვინ არ დათანხმდება? ხალხს უნდოდა რომ მისი სიტრფიალო და სიდიადეა ოთმარ მეფის სიწმიდე და ძრიელება გამოეხატა და შემდეგი სუკუნოებისთვის ძეგლად კალმოეტა. და ხედავთ, როგორ გამოხსნა? ხალხის წარმოდგენით იქ, სადაც დვთის სადგურია და ანგელოზები მსახურობენ, კუსხლეტელი წირვა-დოტვა და გამჩენის დიდებაა; იქ, რასკვირველია, ზარების რეკვა ხშირია, მკრამ ტოდვიდი მიწის შვილის სმენა იქამდი ვერ მიწვდება და მხოლოდ ერთად-ერთი მისი სიკვირველი თამარი იყო, რომ იქაურ ამბავს თვისი ყურით ისმენდა!..—„ციდან ჩამოესმა რეკა!..„ განა ამაზედ ძლიერად სიწმიდეს კამოხატვა კიდევ შეიძლება სხვა გვარად? „იალბუზზე ფეხი შესდგა, დიდმა მოებმა იწყეს დრეკა!.. აი, ქვეყნიური ძლიერება, სავსებით დასურათებული!..

ახლა შეუწყობოთ ამ ორ ტაეპს მოედი ბოემა „თამარიანი“, ანუ შვთელის მიერ შესხმითი ქება და რას დაგინახავთ? ამას, რომ შავთელმა, რომელსაც სიგნად ჭმონდა ადებული თამარ მეფის სიწმიდისა და ძლიერების სედოგნებით გამოხატვა, მისი მეთასეულიც ვერა სთქვა რა, რაც ხალხის გონოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაკრა. ამ გვარი სამკალდითო და სამარკალიტო ეველგან არ მოიბოვების და არც ბევრია, რადგანაც ხალხურ ნაწარმოებშიც მეტ-ნაკლებობა არის ხოდმე. მოვიტანოთ მაგალითი:

„მაყვალს კიკვავს თავლებიო,
კოკო კენაცვალებიო!..“

——

ან და: „ხელსახოცსა კალმოგიგდებ
ოქრო შეკალით მოქარგულსა,
შიგ კიკიხვევ სულს და გულსა
შენთვის დამწვარ დადაგულსა!“

ეს ორივე ლექსი ტრფიალების წარმოსაბაა, მკრამ რა კანსხვაებაა მათ შუა?!.. ავიღოთ კიდევ სხვა:

„ბატარა ხარ და კარგი ხარ,
კიოხდები, რა იქნები?!..
შენ—ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები“.

——

მეორე ამგვარიეე:

„ყმა ბატონისთვის მოკვდება,
ბატონიც მწყალობელია;
ხორცს აუმდერებს ბატივით,
სულისაც მგალობელია.“

——

ახლა კიდევ ამგვარიეე, მკრამ სხვა ხასიათისა:

——

„ქალმდი ჩვენი ბატონი
უწრეწუნებდა ქორებსა,
ახლა-კი მისი შვილები
ჭალას დასდევენ დორებსა.“

——

„ახნაური ჭალს არა ჭამს,
მოშიგდება ჭირსაც მოამჭამს“.

——

„ეგლეხი კაცი იზრდებოდესო,
ვირდებოდესო“ და სხვანი.

ესენი ყველა ხალხის ნაწარმოებია, მკრამ რა განსხვავება არის იმ ბერეულ ორსა და სხვებს შუა?! ერთი კეთხატავს მრავალ სუკუნოების განმავლობაში ბატონ-უფერ კეთილ დამოკიდებულებას და მეორე-კი ხალხის ზნეობით დაცემის დროს და სხვა-და-სხვა წოდებათა ერთმანეთთან კადაკიდებას. უმნიშვნელო არ ერთი არ არის, თუმცა ბერეულს-კი სისტორია, სერო მნიშვნელობა აქვს ან მეორე მხოლოდ კერძობითთა, ადკილობრივი და დიდხანსაც ვერ დასაადგურებს ხალხის კრძნობა-გონებაში. მკრამ მაინც ყველა უმეტნაკლებოდ უნდა ჩაიწეროს და კამოგზავნოს რედაქციაში ამბოტომც მიგმართავთ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, განსაკუთრებით სოფელ ახალგაზდობას, რომ მხარი მოგვცენ ამ დიდათ საკერო საქმეში. ამათ უნდა აიღონ თავიანთი სოფლები და აგვიწერონ ამ გვარად: რა გვარის კეტები ცხოვრობენ იქ და ან რა თქმულებაა დარჩენილი მათში ამათ ძველებზე? დაგვისახელონ, რა და რა ფერინველები, შინაური და გარეული ცხოველები შენობენ იქ? რა და რა მცენარეებლახები იზრდებიან და. რა თვისებისა არიან ზოგიერთი მათგანი? რომელი მათგანი კამოდგება საღებავად? საწამლავად? სამკურნალოდ? რამდენი ნანგრევი ციხე-კოშკ-დარბაზებ-ტაძრებია და რა არის მათზე თქმულება? რა და რა მდინარენი ჩამოდიან? რა თევზებია შიგ? ტბები თუ აქვს? წყაროები? დელეები და სხვანი. შეკრიბონ აქვე ზეპირ-კალმონატემებიც ოთველ გვარი: ზღაპრები, შაირები, დექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი. გვარში თუ რაზე კუჟრებია, აგრედვე ოთველი სიტყვა, რომელიც

აკაკი

ვინ სთქვა, აკაკი მოკვდაო?
განა მკვდარია რუსთველი?
განა მოკვდება აკაკიც,
ვიდრეა ქვეყნად ქართველი? .
არა, კვლავ ცოცხლობს მგოსანი
თამარის ბრწყინვალე დროსი,
ღვთიურ ჰანგებით შემმკობი
მაშინდელ საქართველოსი!
კვლავ ცოცხალია მგოსანიც
ჩვენის შავბნელის დროისა,—
მღერალი ჩაგრულ სამშობლოს
ნ. ღვლის და ნატვრა-ნდომისა!
მთაწმიდა, მისი მთაწმიდა,
ახლა რომ სურვილს უსრულებს,
მხოლოდ მის სხეულს, დაქანცულს,
ვით დედა, გულში იხუტებს,
რომ შეეპოვრად მებრძოლი
დიმიტრ-ილიას გვერდითა,
აწ მიისვენოს მათთანვე,
ტანჯულმა მათებრ სევდითა,
სულით-კი მინამ იცოცხლებს,
ვიდრემდის ცოხლობს ქართველი,
როგორც მგოსანი მის ჭირის,
ვით ლხინისაა რუსთველი!..

დუტუ მეგრელი

აკაკი
(შარკი ძველი ჟურნალიდან)

ეუტხოვისო, ჩაწერონ და მისი მნიშვნელობა კამოჭკითხონ ხალხს. შემკრებელმა, რასაკვირველია, უნდა უმეტ-ნაკლებად ჩასწეროს, როგორც გაიგონოს, ე. ი. თანოგრაფიულად. დაესწროს ხოდმე სოფლის ჭირში და ლხინში, რომ მათი ზნე და ხასიათი შეისწავლოს და აგვიწეროს. ეროს სოფელს რომ მორჩება, მერე მეორეში გადავიდეს და ამ გვარათ მოიარონ ერთი მეორეზე მისი მაზრა, ან ხეობა. ეს ძალიან ადვილი საქმეა და ამას არც ძალიან ბევრი დრო მოუნდება. ამ საქმეს მხოლოდ გულდადება უნდა, მცირეოდენი ბეჯითობა, რომ თავის სკუთარი ფანტაზია არ წაამატოს შემკრებელმა. ამ ოცი-ოც-და-ათიწლის წინეთ მე თვითონ დავდიოდი სოფლი-სოფლად და იმდენი რამ შესანიშნავი ვნახე და გავიგონე, რომ სწორეთ გასაკვირველია, ბევრი მათ კანი ერთი შეხედულობით უმნიშვნელო და სუდელური რამ ჭკონია კაცს, მაგრამ ბოდის რომ დაუგორდება, მიხვდება, თუ რა კონიერული არიან ისინი. ავიდოთ მაგალითად შემდეგი: სვანეთში მოსახლეები კოშკებში დგანან და თითო სახლში ხშირად მოელი გვარეულობა არის მოთავსებული, ასე რომ, თუმცა ერთი კაცის ჩამომავალნი არიან, მაგრამ მათში ითქმის ნაოესობაც ადარ არის, ერთი დედ მამის შვილნი ერთმანეთში ძმებათ იწოდებიან და სხვებთან-კი ძმანებათ. აი, სიიდან წამომდგარა მრავლობითი რიცხვის კიდევ განმეორებული მრავლობითი რიც-

აკაკი კახეთში ილიას დღეს

თავ. იური წკვეწკვაძის სახლში 1911 წ. 31 ივლისს. ამ დღეს ეკვრელმა გამართა ილიას დღე, შალვა დადიანისა და ედო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით (წარმოდგენაში)—როგორც სასიქადულო სტუმარი, მიწვეული იოსაკაკიც (შუაშია) სხვა სტუმრებთან ერთად. ეს სურათი გადაღებინა თ. იური წკვეწკვაძემ. სტუმართ შორის არიან ბ. მირიანაშვილი, შ. დადიანი ედ. ანდრონიკაშვილი და სხ.

საქართველო

—

გლოვის ძაძით მოსილი
მგოსნის სატრფო—შვენება,
სტირის გულ-შემოყრილი,
სტირის, არ ესვენება.

—

ციურ ცრემლით ალალებს
სიფლ ვს წმიდა მთაზედა
და ვალალებს... ვალალებს
შეღონებულ ხმაზედა...

სხვი!.. რასაკვირველია, ამ ძმებსა და ძმანებს ისე სწყამთ ერთმანეთში ნათესაობა, რომ იმის გატეხა მომაკვდინებელ ტოდვათ მიაჩნიათ. ეს მე მიკვირდა. ერთს უბრალო შემოხვევამ ეოდიფერი ამიხსნა. ერთ სერზე რომ გადაეფიოდი, ჩემმა მხლებელმა სვანმა მოიხადა ქუდი და სთქვა: „დმერთო შეუნდეო!“.. და მიათითა ერთ პატარა ჩავარდნილ ადგილს ტახტის მგზავსს. რომ გამოვეითხე, აი, რა მიამბო:—ეს სერი ეოფს საბატონო და თავისუფალ სვანეთ!; აქედან ორიეე კარგათ მოჩანს. ერთ დიდას ამოსულიეო საბატონოდან გოგო, გადეხედა და ეთქვა: „რა კარგი რამ არის ეს თავისუფალი სვანეთიო!“.. იმ დროსვე მეორე მხრიდან ვაჟი გადმოსულიეო, გადეხედა და ეთქვა: „რა კარგია საბატონო სვანეთიო!“.. ორიეეს კრძნობა მორეოდა. მერე დაენახათ ერთმანეთი კრძნობა-მორეულზე, შეეკრებოდათ, ტოდ-ქმრობის პირობა დაედვათ და შემცდარიეეენ, მაგრამ მაშინვე დედამიწა გასკდომოდათ და შიგ ჩავარდნილიეეენ;—აი, ბატონო, ხომ ხედავთ ტახტიეით რომ მოჩანს და ზედაც დიდი სასოფლავოა?.. თურმე, ნუ ბრძანებთ, ერთი მათგანი ტუფეთ ეოფილიეო წამოეკანილი, ძმა ეოფილიეო ამ კოგოსი და კი არავინ იცოდავო ისე სვანი ვერ აუფლის კვერდს ამ ადგილს, რომ შენდობა არ გამოითხოვოს იმ შემცდარებისათვისო. ამ გვარი რამ თვით ხალხის გულიდან ამონაფები დიდი ძალა და კანონია იმავე ხალხისათვის. აფხაზეთში ერთს ნამოსახლზე ვინც კაიფლის, დიდი თუ პატარა, ეფეფხს დაკვდების და, როდესაც შეკრეფდება, მერე წაუკიდებენ ცეცხლს და დაბწყვენ ხიდმე. ეს ჩვეულება ჯერეც კიდევ არ გადავარდნილა. ამბობენ, აქ ერთი მოსახდე იეო, რომელმაც

ზამთარში გაეინული მგზავრი შინ არ შეუშვაო; სტუმრობის კატეხისათვის ასე უნდა იყოს შეჩვენებული, რომ სიაქოს ტეტხლი არ გამოეღიოსო. ამ გვარი რაშეები თავისთავად საგულისხმო არიან და ახლნა ადარ ეჭირვებათ. საკვირველი ის არის, რომ ჩვენში ეველგან ამაო რწმუნებასაც კონიერული სოფუძველი აქვს და არა ისე ტუტუტური, როგორც ზოგიერთ ხალხში. ესეები ეველა რომ შეიკრიბება, მაშინ შეგიტეობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ თავსაც გაყიტნობთ; მაშინ ნამდვილად გვექნება გაოგანდისწინებული საქართველო ეოველი მხრით: გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად, არხეოლოგიურად და სხვანი. მაშინ დეკსიეონების შედგენაც ადვილი იქნება, როგორც სახოგადოა ისე კერძო ზოგადეიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის და სხვანი. სხვა ქვეყნებში დიდი ძალი თანხა საკუთრად ამ ზეშერსიტეეკობისათვის გადადებული და ჩვენ შიატ უსასყიდლოდ ძნელი იქნება საგსებით საქმის წაყვანა, მაგრამ ჯერ, რადგანაც საკუთარი შეძლება ნებას არ გვაძლევს, რომ ქირით ბევრი ვიეოდიოთ, ოთხის მეტი არა გვეკვს საკუთარი მკვლევარი და ზეშერ-გადმოხტეშების ჩამწერი. შემდეგში-კი, თუ საქმე კარგად წავიდა და საშუალება გვექნება, რასკვირველია, ეოველ მაზრაში გვეეოდება თითო კაცი. ახლა-კი, ჯერ-ჯერობით ეველას ვთხოვთ, რომ ვინც რითაც შეიძლოს, ამ დიდ საქმეში დახმარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს.

აკაკი

(აკაკის კრებული", 1897 წ № 1)

მოგონება

ის მთაწმინდას მივაბარეთ, „ვინც სიმართლეს მსახურებდა"
ვინ სიტყვაც ჩვენ გულს, გრძნობას, „სიწმინდითა ახურებდა."
მივაბარეთ და, სამშობლოვ, ჭირ-ნახულო საქართველო,
ფშავ-ხევსურნო, ქართლ-კახელნო, იმერნო და ეროვ მთელო!
ღირსეულ შვილს ვერ აღგიდგენს, ზღვა ცრემლისა, ოხვრა, ურვა,
მოთქმა, კვნესა, ლაწვთა ხოკვა, სახის სევდიან შემობურვა.
ო, ჩვენს ხილვას ვერ დაატკბობს მისი სახე მომღიმარი,
თუმცა სული ღვთაებრივი, დაფარული უჩინარი
ისევ ჩვენში იარსებებს, ისევ ისე გაგვამხნევებს,
ცეცხლს აღგვინთებს გულში, რათა შევებრძოლოთ ვეშაპ-მდევებს.
ასე გვეტყვის: „თუმცა იგი აწ მოშორდა ამ არესა,
მაგრამ ყველა როდი კვდება, ვინც კი ჩადის სამარესა"...

გრ. მეგრელიშვილი

აკაკი თთამგონებელი

(მოგონება. ერთის თვალის გადავლებით)

ორი ადამიანის ხატება ჩამესვენა ღრმად გულში, როგორც ერთსახეობა ჩემის სამშობლოისა...

პირველი — ილია —

მუდამ სევდიანი, ფიქრ-ჩაღრმავებული, კოპებ შეკრული...

მეორე — აკაკი —

მუდამ მღიმარე, სახე ნათელა, გულღია, ზეიმტაცი...

გინახავთ აკაკის ღიმილი?

შეხედეთ ამომავალ მოკიატე მზეს — აკაკის სიცილიც წარმოგიდგებათ...

მე მხოლოდ მზე მასულდგმულებს და მოქმედების ხალისს მიცხოველებს...

ასეთი იყო ჩემთვის აკაკიც. ყოველი მისი შემოხედვა ძალღონეს მიორკეცებდა, კაცთაგანს უთქმელს, უმაღლეს გრძნობას

აღმიძრავდა, ბრწყინვალე მომავლის რწმენას განმიმტკიცებდა.

ილია კი თვითმოქმედების, საკუთარი უნარის გამოჩენის ნიათს მიღვიძებდა, ცხოვრების დამაბრკოლებელ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველ ძალას მმატებდა...

ორივე ერთად, ერთი მეორის დამატებით საქართველოს ხასიათს გამოხატავდენ...

ერთი უმოეორეოდ ვერ წარმომიდგენია, მით უმეტეს—საქართველო უაკაკოდ და უილიოდ...

——

ორმოცი დღეა, რაც პირისპირ ვეღარ ვხედავთ ჩვენს სამშობლოს სიმბოლოს, დიდ მწუხარება-ვაებაშიაც კი მარად მღიმარეს, შუბლ-გადაშლილს, ვერცხლის ძაფებით შემკულ სახე-თავს... ვეღარ ვხედავთ ღმერთ-კაცის პირველ სახეს, დიაღ ღმერთ კაცის...

ამ დღეებში *) ერთმა ჩემმა მეგობარმა, მგოსანმა ს. ბაშელმა მითხრა: მე რომ მხატვარი ვიყო და ღვთის დახატვა მომანდონ, დედნად, ორიგინალად აკაკის სახეს ავიღებდიო...

და განა ეს მართალი არ არის?

მერე ბაასი, საუბარი, თავდაბლობა, თავაზიანობა, დიდებული სვლა, მძიმე და ბეჯითი ნაბიჯი, თითქო ცად მიბჯენილი თავი და მიწად დაშვებული თვალნი!..

არა, იგი ამ ქვეყნიურს არა ჰგავდა...

——

აკაკის სახელი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში გავიგე, როდესაც „ჯეჯილში“ მისი ლეგენდა, ვგონებ, დავით მეფე და გოლიათი, წავიკითხე.

და იმავე დღიდან ჩემს გულ-გონებაში გამოიხატა არ ნახული ადამიანის ზღაპრული სახე...

ოცი თუ ოცდახუთის წლის წინად, მახსოვს, ერთ ხელნაწერ ჟურნალში მისი დაუბეჭდავი ლექსიც მოვათავსე, ეს ლექსი მაშინ ელვის სისწრაფით ეფინებოდა ხალხს, ხოლო სახით ვნახე ერთ საღამოს ლექსების კითხვის დროს. .

*) ეს წერილი აკაკის დაკრძალვის დღეს უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ზოგიერთ მოსაზრებათა გამო შევაჩერეთ. ამჟამად იბეჭდება მცირე შესწორებით. **რედ.**

აკაკის კითხვა ვისაც არ მოუსმენია, ვერაკი წარმოიდგენს.

აკაკი მკითხველი—ეს უბრალო, სადა, ჩვეულებრივი მოსაუბრე, დინჯი და წყნარი მეხმაურე იყო ტკბილ-მუსიკალურ ხმათა. .

არც ხმის უშნოდ აწევ-დაწევა, არც წარამარად ხელების შლა, თითქო არც ისა—ავ-ღელვო ვინმეო... მაგრამ ამ უბრალოობით უფრო დიდს შთაბეჭდილებას სტოვებდა... მსმენელის გულიგულ სა სწვდებოდა...

——

აკაკის პირადად გაცნობა ჩემის ცხოვრების უბედნიერეს წუთთაგანია...

ეს იყო ნეტარხსენებულ ივანე მაჩაბლის სახლში.

ვშიშობ ეს კადნიერება თავის თავის განდიდების სურვილში არავინ ჩამომართვას, მაგრამ თვით აკაკის პატივისცემა მაიძულებს ყოველივე სიმართლით აღვადგინო, რათა კიდევ ერთხელ ნათელიქმნეს, თუ ჩვენი მოძღვარი რა დიდი მოსიყვარულე და წამქეზებელი იყო ხალხის შვილებისა...

აკაკი იმ ხანად შეუძლოდ ბრძანდებოდა სწორედ ერთი კვირის წინად ჩემი ახალად გამოცემული ლეგენდა—პოემა და სხვა ნაწერები გავუგზავნე. მგოსანს შემოეთვალნა—ამ წიგნების გამომგზავნელმა მნახოსო.

ვეახელ.

მგოსანი მხართეძოზე იყო მიწოლილი. შევედი თუ არა, წამოიწია, ღიმილით ხელი გამომიწოდა, თან წინ მდგომარე სავარძელზე მიმითითა—დაბრძანდიო. წინ ედო გადაშლილი ჩემი წიგნაკი, აიღო და მიბრძანა:

— თქვენი პოემა წავიკითხე და დიდათაც ვისიამოვნე...

— ავტორი მე არ ვარ, ბატონო. . (წიგნი ფსევდონიმით არის გამოცემული) მივუგე დარცხვენით... მე თქვენ გაახელით, როგორც ახალი წიგნი...

— გმადლობ .. ვისიც უნდა იყოს, სანთელ-საკმელი გზას არ დაკარგავს... გადაეცით ავტორს, რომ კაი ხანია ამისთანა ნაწერი არ შემხვედრია... აზრიანი ნაწარმოებია.. სჩანს ავტორს სამშობლო ქვეყნის ვაებით გული ეწვის... სწეროს, სწეროს და ხალხში ავრცელოს...

მელაპარაკებოდა მგოსანი...

მეკი გული მიჩქროლავდა, საფეთქელი ძალზე მიცემდა... ენა-დაბმულმა ვერაფერი მიუგე, გარდა იმისა, რომ სწრაფ განკურნება ვუსურვე და გამოვემშვიდობე...

ეს ის დრო იყო.—900-იანი წლები,—როდესაც ძველ რწმენა—შეხედულებათ ნიადაგი ერყეოდა, ახალი შეხედულებანი კზას იკაფავდენ .. ამ დროს ბევრს ახალგაზ ოდას გაუწყდა ცხოვრების ძაფი, გზა-კვალი აებნია..

მგოსნის სიტყვებმა გამაკაჟა, შთამაგონა რა სიმტკიცით უნდა გავყოლოდი რჩეულ გზას და მას შემდეგ ეს გამამხნევებელი სიტყვები მუდამ შუქურვარსკვლავად მიმიძღვის წინ...

—

მგოსანს დავუახლოვდი 1910 წ., როდესაც პირველად დავიწყე »თეატრი და ცხოვრება«—ს გამოცემა.

არა თუ ჩემთვის, არამედ ყველა ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელ—რედაქტორისთვის დიდათ სახარბიელო იყო მხცოვანი მგოსნის მაწარმოებნი დაებეჭდნა თავის გამოცემაში...

ერთ დღეს ჩემთან რედაქციაში (ქართულ თეატრის კანტორაში) შემობრძანდა, ტკბილ-ნეტარის ღიმიღით მომესალმა, დაბრძანდა და ლექსი გამომიწოდა:

— გასინჯეთ და, თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ...

მე მოკრძალების ალმა გადამკრა, თან იდუმალმა სიხარულმა.

— როგორ თუ მომეწონოს, ბატონო? მივუგე: ჩემს ჟურნალს დღეს გაუთენდა ბრწყინვალე დღე თქვენის შემობრძანებით და თქვენს ნაწარმოებსაც დიდის სიამოვნებით დავბეჭდავ, მაგრამ—ნება მიბოძეთ ჩემი ნივთიერი მდგომარეობაც მოგახსენოთ...

—ჰონორარი?—სიტყვა მომიჭრა: მაგაზე ნუ სწუხხართ,—მე შენგან არაფერს ავიღებ და სრულიად უფასოდაც ვითანამშრომლებ შენს ჟურნალში, რადგან ეს გამოცემა მომწონს, როგორც უპარტიო... სხვაგან ფულიც რომ მომცენ—არც კი ვითანამშრომლებო-

მიბრძანა მგოსანმა.

ლექსი, რასაკვირველია, იმავე კვირას დავბეჭდე. ამის შემდეგ მგოსანმა დაიწყო მუდმივი თანამშრომლობა: ამ წელს »თეატრი და ცხოვრება«-ში დაიბეჭდა აკაკის »გახსენება ქართული თეატრის შესახებ«, საგანგებოდ ჩვენთვის დაწერილი, პიესა »მოძრაობა«, სხვა და სხვა ამბები და ლექსები. თვით მგოსანი მუდმივი სტუმარი შეიქმნა რედაქციისა და ხშირად გვატკბობდა თავისი მოსწრებული სიტყვებით. ბევრი, ბევრი საგულისხმო სიტყვა გამიგონია მისგან ჩვენს მწერლობასა, თეატრსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თუ საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, მაგრამ ამ ჟამად უხერხულად მიმაჩნია ამის შესახებ წერა.

—

იმ ხანად, ეტყობოდა, ხელმოკლეობას განიცდიდა.

საზაფხულოდ სოფელს წაბრძანდა. სოფლიდან რამდენიმე წერილი მომწერა, რომელთაც ძვირფას განძად ვინახავდი, მაგრამ ნიადაგ დარბევამ თითქმის აღარაფერი შემარჩინა*). ჩემს დაქსაქსულ ხელთნაწერებსა და წერილებში მხოლოდ ეს ორი წერილიღა ვიპოვნე, უბრალო ქაღალდზე დაწერილი. ორივე მომყავს: პირველი:

»ბატონო რედაქტორო!

(თვალი დაუდგა სიბერეს სახელი ვედარ გავიხსენე და მიტომ გწერ რედაქტორობით). როცა მოიცალო, გაგაეცი სხვა რედაქტორებსა, როგორც ქართულ, ისე რუსულ—გაზეთებისასა, რომ გამოწერა არ შემიძლია და ეგებო ისე გამომგზავნონ გაზეთები მაგ თქვენი ადრესით სახსერეში. ახალი ხომ არა არის რა ტფილისში გარდა სიცხისა? აქ ძალიან გრილა, მაგრამ სანშეალზე ვარ მწერალად, რადგანაც ოლიფერი, შეშაც კი, საყიდელი მაქვს და ჩე-

*)აკაკის ნაწერები—ზოგი დაბეჭდილი და ზოგი დაუბეჭდავი, აგრეთვე გადარჩენილი კერძო წერილები რედაქციაში მქონდა, ქართ. თეატრის კანტორაში, რომელთა დიდი ნაწილი დამენთქა ანუ გამეფანტა თეატრის დაწვის დროს. თუ ვისმეს აღმოაჩნდეს—ვსთხოვ გამომიგზავნოს. ავტ.

მა მამული ჩამორთმეული სხვებს უკირავსთ ხელში. ეს იუბილეემ შემძინა!...

თუ ნახა გზამართული მოგიკითხე

შენი მარად **აკაკი**-* "

მე, რა თქმა უნდა, მისი თხოვნა გადავეცი ქართულ რედაქციებს და აგრეთვე სადაც საჭირო იყო, ვაცნობე, რომ ფულით ნივთიერი დახმარება აღმოეჩინათ.

მეორე წერილი:



ძმაო იოსებ!

შენი გაზეთის ნომრები სადაც ჩემი სტენები იყო, ახლა მივიდე და გმადლობ სხვები კი არ მიგზავნიან გარდა გოთუასი. „დროება“ რომ არ მოგდის არ მიკვირს, მაგრამ „მთაწმინდა“ მაინც რად ენანებათ ჩემთვის? ადარ ვიცი.— შენი მოყვარული **აკაკი**

1910 წ. შემოდგომაზე მოულოდნელად მომაშორეს თავისუფალ ჰაერით სუნთქვას და მთელი სამ-ნახევარი წლის განმავლობაში აღარ მინახავს მგოსანი.

ციხიდან უკვე თმა-აბურძგნული და გაჭაღარავებული გამოვედი.

მგოსანს ერთს ყრილობაზე შევხვდი. არ მინდოდა მისი შეწუხება, მაგრამ რაკი თვალი შემასწრო და ყურადღება მომაქცია, მივესალმე. ხელი რო გამომიწოდა, ჩემი ვინაობა მოვახსენე...

—კი გიცანი!—მომიგო ნეტარი სიცილით და ნათელი სახე უფრო გაუნათდა. შემდეგ სიცილით მიბრძანა: ახლა ხომ ვალმოხდილი ხარ!.. ავკაცობა იმათ, თორემ შენ უფრო გამოგაბრძმედებდენო!..

—

ჟურნალის გამოცემა რომ განვაახლე, კიდევ უფრო დამიახლოვდა და როცა კი შემხვდებოდა, ისე სიტყვას არ მეტყოდა— არ წავექეზებინე...

— ჟურნალის მეთაურებს ვინა სწერს?— მკითხა ერთ კვირა დღეს თეატრის ეზოში!

— რაზე მკითხავთ, ბატონო?

— მინდა ვიცოდე, თუ საიდუმლო არ არის!..

— ქართულ მწერლობის თვით მჭსაიდუმლეს რა დაეფარება, მივუგე და მასთან დავსძინე: მეთაურები ჩემია..

მგოსანი შედგა, მომიბრუნდა, ოდნავ თავი გადმოხარა, თვალის ქუთუთოები გაალო, სახის ნაქვთები სანეტარო გაუბრწყინდა და თითქმის იდუმალის ხმით მომიგო:

—შენი?!სწორედ არ მეჯერა (სწორედ ამ სიტყვით — „არ მეჯერაო“) და თუ კი ეს მართალია, მადლობა ღმერთს!.. ჩანს ღმერთს კიდევ არ დავვიწყებვართ: ის, რაც მთელ სიცოცხლეში ნატვრად მქონდა, აწ ვხედავ განხორციელებულს,—ხალხ ს საქმეს ხალხ ს. ვე შვილებმა უნდა უპირისუფლონ... ხალხ ს ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენო...

მე მოკრძალებით ვკითხე;

— ნუ თუ ასწორობთ წერილების წაკითხვას?

— მუდამ... პირველად ამ წერილებს ვკითხულობ ხოლმე და ძლიერაც ვკმაყოფილდები...

— ეს თქვენი გულუხვობის ბრალია, ბატონო, თორემ... სად მე—სად აგეთი ხოტბა?

— ყური უგდე ხალხის გულის თქმასა... ბეტყობა უცხო გავლენას აცდენილი ხარ... ქართველი მწერალი და ქართული ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელი აგეთი უნდა იყოს..

*) წერილს თარიღი არ უზია. მიღებულია 1910 წ. ზაფხულში.—ორივე წერილის დედანი „ქართ. საეთნ. საისტ. საზ.“ გადაეცა. ავტ.

რასაკვირველია, ჩვენი დიდებული მგოსნის სიტყვები ჩემ წასაქეზებელ სტყვად მივიჩნიე... და მითაც დიდი, განუზომელი სარგებლობა გამოვიტანე... ყოველი ასეთი სტყვიო ნაამგდარი მოძღვარი შთამაგონებდა, როგორ მეწარმოებინა ჟურნალი ..

და ესაა საუკუნო დავალება, რომელ საც მთელ ჩემ სიცოცხლეში ვემსახურები...

——

უკანასკნელად (ვგონებ ქრისტეშობის თვეში) ქართული თეატრის შესავალში შეეხვდი... ხელგაყრილი ავიყვანე კიბეზე .. კლუბის შესავალში გამოვემშვიდობე და მაინც შორით გავაყოლე თვალი .. მგოსნმა მძიმე ნაბიჯით გაიარა გრძელ ტალანში, მერე მოტრიალდა და ჩქარა წავიდა... სახეზე ჩვეულებრივი ღიმი აღარ უკრთოდა, რაღაც მწუხარების ღრუბელი გადაჭკრიდა, თითქო იალბუზის მთას ჯანყი მოჰხვევიაო...

გავხედე და მომაგონდა მისივე ლექსი: „აჩრდილიდა ვარ წარსულის და ლანდი მომავალისა“...

ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა აკაკისთან და მალეც გავშორდი: აკაკის მე მუდამ მღიმარეს შევჩვევივარ!..

იოსებ იმედაშვილი

——

ოპლოპა

„რა ძნელია მარტოობა სულისა! .«

ძნელია თვითეულისათვის, მაგრამ ამ სიძნელეს სრულ ნელებს კარს არტეის, რაცა მას მოეფი ერი გრძნობს; დღეს ქართველი ერი დაობდა და მის დაწვებს ჩამოსდის მდუდრე ტრემდი.*)

დიდი ხანია, რაც ქართველი ერი კენესაოხვრას შეეთვისა, იგი დასტირის თვის დრბეულ კერას, ოხვრით შესტქერის ბაწია ბოშაის, რომელიც ამირანის დიდ დამტკიცედ ნაწედ ჯაჭვს დოკს. მაგრამ ეთვედი მწუხარება დამობს კარეგნად კარდმოშდეს, რეადურად მყდავნებს.

ერის ეთვედი შვიდი იდუმადებაში ეძიებდა მძიმე სვედათა კარდ მშდედ ფოროშებს; მისი ადდო უცდომადი იეო და იგი ეთვედ ტრუქურეშის დადდებაში ინტუიციით კრძნობდა სიუადბეს, თვადთშქტობას. იგი ეძიებდა ნამდვილ წინასწარმეტეველს, რომელიც დამხის ფერადებით კარდაშდიდა დიდ მწუხარებას და დიდის მარგადიტებით შეამკობდა წმინდა იდეადს.

*) ეს წერილი „აკაკის ნომერში“ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ვერ მოესწრო. **რედ.**

და კამოჩნდა ჭეშმარიტი მგოსანი, რომელმაც ხადხის ვარამი შეჭკრიბა სქართველოს დაქსუსულ ნაწიდებში, წკრიალა სიმებად ჩამოქნა ქართველთა მწუხარების ნაკადი და თვის მდიდარ, სიყვარულის კრდემდზე ნაჭედ, გულს კადაწნა. მოვიდა და დამდერა; შეების ოხვრა ადმოხდა თვითეულ ჩვენკანს, ნამყდვნი სვედა წარმტაცად კარდაიშადა სქართველოს ვარაყიან მიდამოებში. ჩუკვირდა ყველა ამ სვედიან სიმოა გუგუნს და მის ხმაურში ისრეთი დაცხრიდუდმა გულმა სამკურნადო მადამო ჭეშეა. კვადად აენოო იმედის ბატრუქი, შუქმა მოჭვინა გზა და ჩვენი მძიმე ობდობა კარდიადხა.

— „მამა! ჩვენის მწუხარების მოსიყვარულეკ...« ადმოხდა თვითეულს და თეთრად შემოსილ მოხუცს გულზე მიეკრა.

შვება, იმედი... რა კარგია სიყვარული! . შეეჭყეთ მის მამობას, ობდობაც დაეეფეწეთ, ფეზიარეთ მისი გულიდან ადმოგზნებულ სიყვარულის ადს და იმედის სიზმრები ფერად ხადიჩებად კარდაგვეშადა. და ასე იზრდებოდა მრავადი თობა; მოხუცის შუბდი ნაოჭებმა შეკრა, მისი თმა-წყერი თეთრად შეიმოსა, მაგ-

რამ მას არ მოსწყენდა ჩვენი მამობა, მუდამ ჩვენზე ზრუნვა, ფიქრი და სიყვარული. თვითეულს ჩვენგანს მიჭქონდა მასთან მწუხარება, შდიდა მის გულს და სეფდის ეკვიდლ ნერგავდა... ისიც ზრუნვით ზრდიდა ამ ეკვიდლებს და თვის ტრემლებით ურწყავდა ფესვებს. ვისაც მასთან მისვლა არ შეეძლო, იგი უცდიდა, რომ თვით მოხუცი მივიდოდა მასთან და სიყვარულით ჩაუოტნიდა ტრემლიან თვალებს, სეფდის ეკვიდლს მოსტაცებდა და მის თვალებში იმედის წითელ ვარდებს კაშლიდა.

კაშენა თეორმა მოხუცმა თვის გულში მშვენიერი ბადი, იგი მას ზრუნვით დაუტარებდა სიქართველოს ეოველ კუთხეში და რამდენადაც იზრდებოდა ეს ბადი, იმდენად მძიმე და ნელი იეო მისი სვლა. მძიმე იეო ტვირთი და ტკივილები, მაგრამ კეთილი მამა კანა თვის შვილებს უჩვენებს ამ ტვირთით დანარჩენ ია-რებს?.. და აკი სიკვდილამდე ასე მადა და ამაყად კეჭირა თავი აკაკის.

ურწმუნო თამანი დაკვეხითხოებენ; „რას ეკახარებთ, რას წვალობთ... სიქართველო ხომ მკვდარია, ვინ დაუთვლებს თქვენს წადილს, კეთილს სწრაფვას?“ და თვითეული ჩვენგანი კაიცქარებოდა შორით, იქ, სადაც მას ეგულებოდა თეორწვერა მოხუცი, სიყვარული მამა, და ფიქრობდა: „ის, ის ხომ მაინც მიჭვდება, სახარული კულში ჩაგვიკრავს და სიამით გაგვიდიმებს, ის მიგვიხვდება, კაიკეს...“ და მაშრანი და ტვირთმძიმენი მასთან მივდიოდით. ჩვენ სინამდვილეში კანვიცდიდით, რომ ტოტხადი არსება გვაკავშირებდა სამშობლოსთან და ეოველ ჩვენს ფიქრსა და ზრახვას უტხო ენით კარდასტემდა დაუეეგებულ სამშობლოს; მარტო მას ჭქონდა ამ საკანის გასაღები და მარტო მან იცოდა მშობლის ენა. იგი შემეეგ ჩვენთან მოდიოდა და ტკბილად გვეტეოდა, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისეეე კაიდვიძეს“, გვეტეოდა — თუ რა რიგ ვეეეკარდით სამშობლოს, რა რიგ ზრუნავდა ჩვენზე ტანჯული.

ასეთი იეო ჩვენი მამა, რომლის ამბავი ჩვენ არც კი ვიცოდით და რა მელასტ მა „მოსუტ აკაკი“-ს ვეძახდით. და როცა ერთხელ კიდეე მივედით სამშობლოს ტოტხად სამშობლოსთან ტეოროის შესამუბუქებლად, მოხუცმა ტკბილად დაშლერა და კეთხრა: „თქვენ მომავალნი ხარო, მე კი მიმავალი, კეთეკარდეთ სამშობლო და, მასთან ერთად, მთელი კატობრობა, რამეთუ მარტო სიყვარულშია ბედნიერება“.

— „როგორ თუ მიმავალი?“ კაკეკეერეეთ ჩვენ და ამ სიტეეებს მნიშვნელობა არ მიეეცით. აკი ასე შეეეხარდეთ მას და უმასობა ვერ წარმოგვედგინა. და ერთ დღეს კაჭქრა მოხუცი, როგორადაც მოვიდა და დადუმდა მისი ქნარი.

კონება ანნეულნი დაეარბეთ, ვეძახით, ვეძიებთ, მაგრამ არსად სწანს და არც არასოდეს იქმნება, არასოდეს!.. რა სასინეულაა!..

სიყვარელო... რად დაკეტოეე? ხომ იცი, უშენოდ კეკალად ობდობა მოკვედის. წუთით დაკდუმდით და ოხერა ადმოკვეხდ.

იდუმალ სიერტეში კასმა ნატნობი, ტკბილი ხმა: „ჩემ სიყვარულის ანდერძში ჭეოებთ შკებს და კარდასხვეთ მწარე ობდობას... მშვიდობა თქვენდა!“

მშვიდობით, მშვიდობით თეორო მოხუცო... ვისდა ვაუწეო ჩემი ტანჯვანი? შეიყვარებს კი კანა სხვა ჩემს ობდობას?...

აკაკი პაპავა

აკაკი რითია ძვირფასი?

ხედოსან სოსო მაჭყვარიანის მიერ წარმოთქმული სიტეეა აკაკის დასაფდასვების დღეს ს. ვედისტანეში, სადაც ოთხ სოფელს მოეეარა ერთად თავი.

ბატონებო! დღეს მთელ ერს სამგლოვიარო ზეწარი გადაფარებია, აქვითინებულა საქართველო, ცრემლს აფრქვევს და დასტირის დიდებულ მგოსნის აკაკის სამუდამოთ მიძინებულ გვამს. ეკლესიები სამგლოვიარო ზარს რეკენ, მგალობელთა გუნდნი ზეცას აწვდიან თავიანთ სამგლოვიარო ხმას და მოუწოდებენ ანგელოსთა გუნდს, რათა ცამა და დედამიწამ ერთად იგლოვოს ჩვენი სიამაყე აკაკი. ამ ეროვნულ გლოვას ეერთდებიან ჩვენი მეზობელი ერები და ჩვენთან ერთად დასტირიან საყვარელ მგოსანს.

მერე რითი აიხსნება ეს იშვიათი მოვლენა, რომ ერთმა ადამიანმა შესძლო მთელი ერის სათაყვანებელი გამხდარიყო?—იმით, ბატონებო, რომ აკაკი იესოსავით ტანჯულთა და მაშვრალთა მოსარჩლედ მოევლინა ჩვენს ტანჯულ მხარეს. აკაკი ხედავს კაცთა შორის გამეფებულ ბოროტებას და მიზნად ისახავს ამ ბოროტებასთან ბრძოლას, შინაური იქნება ეს ბოროტება თუ გარეული—მისთვინ სულ ერთია. აკაკის თავის ერი უყვარს, მას ეტრფის, მითი ცოცხლობს და ვი იმას, ვინც შეეცდება თავის სათაყვანებელ ერის აბუჩად აგდებას.

მაგრამ არ გეგონოთ, ბატონებო, რო ამ თავის საყვარელ ერში ყველაფერი წესზედ იყოს, არაფერი აწუხებდეს?.. არა, ბატონებო, აკაკი, აქაც ხედავს დიდ ბოროტებას, ხედავს რო მდიდარი ღარიბს სჩაგრავს, ნასწავლი უსწავლელს სტუქსავს, აბუჩად იგდებს. ესენი თავიანთ ბედნიერებას მშრომელი ხალხის—დემოკრატიის უბედურებაზე აშენებენ. და, აი, აქაც აკაკი დემოკრატიის ბანაკში დგება და თავის მადლიანი კალმით მიწასთან ასწორებს დემოკრატიის მტრებს.. ჩაიხედეთ, ბატონებო, აკაკის გულში და შიგ დაინახავთ მთელ საქართველოს თავის ჭირვარამით, დაკვირდით, უფრო ღრმათ და თქვენ დაინახავთ დემოკრატიის ერთგულ დარაჯს.

მგოსანი დემოკრატიაში ხედავს ერის მაცოცხლებელ ძალას, ამისთვინ არის, რომ სხვისაგან აბუჩად აგდებულ ენას, რომელიც ქართველი გადაგვარებული ინტელიგენცია თაკილობს ლაპარაკს, ჩვენი უკვდავი აკაკი თავ ს მოხიბლავი კალმით ამშვენიერებს, ალამაზებს ამ ენას და აწვდის მშრომელ ხალხს შესანახად. ქართველი დემოკრატია აკაკის ენით ლაპარაკობს, მღერის და ტირის.

აკაკი და დემოკრატია ერთად ატარებენ ეროვნულ საუნჯეს—ენას. ამავე დემოკრატიაში ხედავს მგოსანი მომავალ ბედნიერ ქვეყანას: ის გლეხის შვილს ნანას უმღერის, მოუწოდებს გასაღვიძებლად და როცა გლეხი ერკვევა საღათას მილისგან, აკაკი გახარებული შეძახის: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო«.. დიაღ, ბატონებო, დღეს სამშობლო მიწას აბარებს ერის გულის მესაიდუმლეს, მაგრამ ხალხის გულში ის უკვდავი იქნება...

სოსო მაჭავარიანი

აკაკის ტკბილ-მწარე სიტყვები*)

აკაკის ავადმყოფობის დროსაც, როგორც მისი მნახველები გადმოგვცემენ, ჩვეულებრივი სიხალისე არ დაუკარგავს.—სანამ სრულიად არ წაერთვა ღონე, ხალისიანად იყო და მნახველებს თავისი მოსწრებული სიტყვებით ბევრს აცინებდა: აი, რა გადმომცა ჩემმა ერთმა ნაცნობმა ექიმმა, რომელიც აკაკის უვლიდა:

— ვისხედით აკაკის საწოლ ოთახში და სულ განაბული მივჩერებოდით დიდებულ ავადმყოფის სახეს. ჩვენთან, სხვათა შორის, ერთი ბეითალი (პირუტყვის ექიმი) შემოვიდა. აკაკიმ ბეითალს თვალი მიაპყრო და ხმა დაბლა წაილაპარაკა: „მე ჩემ სიცოცხლეში ვირივით ვმუშაობდი და თუ მომარჩენს ახლა ვინმე, ისევ აი ის (პირუტყვის ექიმისაკენ გაიშვირა ხელი), თორემ წასულია საქმე, აწი სხვას ჩემი მორჩენა არ შეუძლიაო.“

———

გასულ წელს ქუთაისში აკაკის მონაწილეობით საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილენი მეორე თუ მესამე დღეს ისიდორე კვიცარიძის მოწოდებით სურათის გადასაღებად საოჯახო ბაღში შეეკრიბენით.— აკაკის აქ ერთი ახალგაზდა შეეკითხა:

— რა აზრისა ხართ, ბატონო აკაკი, ახალგაზდა მგოსნებზე?!“

— „რა გითხრათ«,—მიუგო აკაკიმ: „სტუდენტობის დროს ერთი პროფესორი გვყავდა; დიდი განათლებული კაციაო, ამბობდენ, მარა ჩვენ სტუდენტები მის წაკითხულიდან ვერას ვგებულობდით.— ეგეთვე ითქმის ჩვენს ზოგიერთ ახალგაზდა მგოსნებზე.—შესაძლოა ძალიან კარგებიც იყვნენ, მარა ერთი ნაკლი აქვთ: როგორც მე, ეგრეთვე ხალხს არა გაეგება რა მათიო“.

ილია ბახტაძე

*) იხილეთ ,,თეატრი და ცხოვრება'' მე 8 №-ი

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1915 Წ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲗᲐᲗᲔᲐᲢᲠᲝ, ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ

ᲤᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 Მ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ 3 ᲛᲐᲜ.

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“-Ს

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ

„ თეატრი და ცხოვრება“ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲕᲐᲠ ᲯᲒᲣᲤᲠ-ᲓᲐᲡᲣᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲙᲐᲖᲛᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ, ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲘᲡ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲗᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐᲡ. **ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲔᲠᲢᲣᲐᲠᲝ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ**

ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲗ **5** ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ **3** ᲛᲐᲜ., ᲗᲘᲗᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ **10** ᲙᲐ�პ. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ: ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ **2** Მ., ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ **2** Მ., ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ 1 Მ. ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1.

ᲬᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ („ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“-Ს ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ) ᲓᲘᲚᲘᲗ 9—2 Ს., ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 Ს., ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-�გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ **„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓ“**-ᲨᲘ, **„ᲪᲝᲓᲜᲐᲡ“** ᲬᲘ�გᲜᲗᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲨᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲨᲘ — **ᲐᲚ. ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** Თ. ᲛᲝᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲠᲝᲨᲘ **Ს. ᲔᲙᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ**

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: 1 ᲒᲕ. ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲘᲗ, 2, ᲒᲒ. ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲗ ᲔᲠᲗ ᲡᲕᲔᲢᲖᲔ 25 Კ. 3-ᲖᲔ — 20 Კ., 4 ᲖᲔ — 15 Კ. ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲘᲝᲡ. ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ.

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ **ᲐᲜᲜᲐ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**

Დ. ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

Ი. ᲖᲐᲠᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ. ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 8 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗ. ᲓᲠᲐᲛ. ᲬᲠᲘᲡ-ᲛᲘᲔᲠ **Ი. ᲖᲐᲠᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲡᲐᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ:

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ“

ᲓᲠᲐᲛᲐ 4 ᲛᲝᲛᲓ. ᲙᲝᲢᲔ ᲛᲔᲣᲮᲘᲡᲐ, ᲛᲔᲤᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ Ი. ᲖᲐᲠᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐᲡᲐᲡ — ᲨᲝᲗᲐᲫᲔ. ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲛᲡᲐᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲝ. Დ. ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲗ. 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ. ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲔ **ᲜᲘᲜᲝ ᲧᲐᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**

(2—2)

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲓ ᲝᲠᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲯᲛᲜᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ **ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ-ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ, ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ. ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“, �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ № 18.

ᲜᲘᲛᲓᲠᲔᲑᲘ „ᲐᲕᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲓ“

ᲐᲮᲚᲐᲡᲐᲓ ᲨᲔᲙᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲠᲔᲓ. ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲡᲣᲤᲗᲐ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲜᲗᲐᲠᲚᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲣᲒᲐᲖᲔᲚᲡ, ᲒᲝᲠᲝᲜᲪᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲚᲗᲐᲜ. **ᲜᲘᲛᲓᲠᲔᲑᲘ ᲝᲜᲘᲡ ᲐᲑᲐᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** ᲜᲘᲛᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲘᲗ (ᲓᲣᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲨᲘ).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ № 5.

ᲢᲔᲚᲔᲤ. 13—14 (7)



აკაკის გარდაცვალებისა და დაკრძალვის გამო ძაძით მოსილი წიგნთ სავაჭრო თბილისში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲗᲐ, ᲐᲙᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ

ᲤᲐᲡᲘ: 50 კ. ᲨᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ, 20% ᲓᲐᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐ. ᲛᲘᲡᲐᲬᲔᲠᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲯᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

ᲮᲔᲚ-ᲛᲔᲝᲠᲔᲠᲔᲓ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲗᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“

ᲙᲘᲡᲚᲘᲡᲬᲘᲚᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲔᲗ ᲟᲣᲠᲜᲘᲡ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲤᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲘᲜᲢᲝᲠᲐ

„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“-Ს

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲯ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲡ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, № 18. ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲣᲯᲝ № 21.

ᲛᲔᲛᲔᲚᲘ ᲙᲘᲛᲔᲓᲔᲕᲔᲚᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡᲐ ᲛᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ Დ. ᲭᲘᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ᲤᲐ. 50 Კ. **ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲡ** ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲥᲩ. 10—26 ᲐᲠᲘᲒᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ. (5—1)

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“

Типографія „Сорапань“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“